საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

N05/10/02 2022 წლის 5 ოქტომბერი ქ. თბილისი

გიორგი შარვაშიძის ბრწყინვალების ორდენით

დაჯილდოების შესახებ

ევროკავშირის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში საქართველოს ინტეგრაციისათვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისათვის, გამორჩეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, მსოფლიო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი კავშირის გაღრმავებისა და ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შორის სამეცნიერო ურთიერთობის ხელშეწყობისათვის, ქართული კულტურის ინტერდისციპლინარული კვლევების მხარდაჭერით ჩვენი საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი შარვაშიძე** დაჯილდოვდეს ბრწყინვალების ორდენით.

სალომე ზურაბიშვილი